პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ნოემბერი ხუთშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 273 (15183)

გუშინ, მოსკოვში, ეროვნული კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმე

სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

ჩვენი დიადი სამშობლო, რომელიც განუხრელად მიდის პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანები სიტყვითა და საქმით იწონებენ და მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ პოლიტიკას. პარტიის დაუცხრომელი მოღვაწეობა, მის მიერ შემუშავებული გეგმები ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შთაგონებენ დიად შრომითს მიღწევებს. პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებას ისინი ახმარენ მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას. ლენინის ანდერძისადმი ერთგულება, საბჭოთა ხალხის მონოლითური შეკავშირება კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენი ქვეყნის ახალ გამარჯვებათა სიმეფლი საწინდარია.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ყველგან იზრდება და ფართოვდება საყოველთაოსახალხო სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს, რომლებიც ყრილობამ დაამტკიცა, საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა. დირექტივები გახდა პირი ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის პროგრამა.

„მეცხრე ხუთწლედი, — თქვა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — კომუნიზმის გზით საბჭოთა ხალხის უზოგადოების შემდგომი წინსვლის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა. ეს ერთხელ კიდევ იყო აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელმაც განიხილა ყრილობის დირექტივების საფუძველზე შემუშავებული ხუთწლედის წლების მიხედვით გაშლილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი. მისი განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების, მისი საერთაშორისო პოზიციების შემდგომ განმტკიცებას, სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, სსრ კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დაჩქარებას.

ამ დღეებში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა მეცხრე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი, აგრეთვე სახელმწიფო გეგმისა და 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და დაადგინა განსახილველად გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას.

24 ნოემბერს კრემლში შეიკრიბნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა წარგზავნილები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. მათ უნდა განიხილონ და მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

დასასრული მე-2 გვ.-ზე.

მოსკოვი. 24 ნოემბერი. კრემლის დიდი სასახლე. სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა. სურათზე: სესიის პრეზიდიუმში. ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

საკვლევი (მიღებულია საქრონიკო ფოტოტელეგრაფით).

სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ა. ნ. კოსიგინის მოხსენება

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! სკკპ XXIV ყრილობამ მოჩვენა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის, საბჭოთა ეკონომიკის განვითარების შედეგების ღრმა და ყოვლისმხრივი ანალიზი. გასულ მერვე ხუთწლედის წლები დიდი წარმატებებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ყველა დარგში. ეს წარმატებანი სავსებით ადასტურებენ პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის სისწორეს, დამაჯერებლად მოწმობენ მის სასიცოცხლო ძალას.

გასული ხუთწლედის მთავარი შედეგი ის არის, რომ წარმატებით შესრულდა სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ძირითადი ეკონომიური და სოციალური ამოცანები.

ამ წლებში:

დაჩქარდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპი, ამაღლდა მისი ტექნიკური დონე და ეფექტიანობა;

განხორციელდა დიდი სოციალური ღონისძიებანი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა, ამასთან ხუთწლედის ამოცანები ამ დარგში გადაჭარბებით შესრულდა.

კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, შეიარაღებული ძალები აღიჭურვა უახლესი ტექნიკით;

გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება და მისი საერთაშორისო ავტორიტეტი;

კიდევ უფრო მტკიცდა და ნაყოფიერი გახდა სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, გაფართოვდა სსრ კავშირის ეკონომიური კავშირურთიერთობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან.

მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი. ძირითადი ფონდების ღირებულება სახალხო მეურნეობაში ახლა თითქმის 740 მილიარდ მანეთს შეადგენს. უკანასკნელ 10 წელიწადში ძირითადი საწარმოო ფონდები დაახლოებით 75 პროცენტით განახლდა.

მრეწველობაში მნიშვნელოვნად განვითარდა წამყვანი დარგები, შეიქმნა ახალი წარმოებანი. სახალხო მეურნეობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიას.

მერვე ხუთწლედის შესრულების მსვლელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის საფუძველზე უმჯობესდებოდა მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა და მართვა. გაფართოვდა სამინისტროთა და უწყებათა უფლებები, ამაღლდა საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო დამოუკიდებლობა, უფრო აქტიური გახდა მშრომელთა მონაწილეობა წარმოების მართვაში.

ყოველივე ამან შექმნა მტკიცე საფუძველი კომუნისტური მშენებლობის ახალი, კიდევ უფრო დიდი ამოცანების დასაბაჯრელად. ამას უწინარეს ყოვლისა უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი პარტიის ლენინურ ხელმძღვანელობას, საბჭოთა ხალხის შრომითს გმირობას. (ტაში).

სკკპ XXIV ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებანი, შეიარაღა პარტია და ხალხი მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიური პროგრამით, რომელიც შეესაბამება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს, დამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლედის დირექტივები.

ყრილობამ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიღებული დირექტივების საფუძველზე შემუშავებინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმა, განაწილებული ხუთწლედის წლების მიხედვით.

მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმა შედგენილია ყრილობის დირექტივების სრული შესაბამისობით.

ხუთწლიანი გეგმის დამუშავება წარმოებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად მასში მონაწილეობდნენ სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, პროფკავშირები, ადგილობრივი საგეგმო და სამეურნეო ორგანოები, მეცნიერებათა აკადემიები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი. სკკპ XXIV ყრილობაზე შეჯანილი წინადადებანი განიხილეს პარტიულ ყრილობაზე რესპუბლიკებში და კონფერენციებზე მხარეებსა და ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და მშრომელთა კრებებზე, აგრეთვე მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტებისა და მეცნიერების მიერ შეჯანილი წინადადებები.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მასალები დაურიგდათ დეპუტატებს. ნება მიბოძეთ შევეხო გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

(პროცენტობით 1970 წლისათვის)

	1971 წელი	1972 წელი	1973 წელი	1974 წელი	1975 წელი
ეროვნული შემოსავალი	106,1	113	121	129	139
სამრეწველო პროდუქცია	106,9	115,4	124,4	135,1	147,0
შრომის ნაყოფიერება:					
მრეწველობაში	105,9	113,0	120,3	129,0	138,8
მშენებლობაში	106,4	113,2	120,6	128,5	137,0
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	105,3	111,6	118,3	126,0	135,1
საცალო საქონელბრუნვა	106,4	114,6	123,3	132,3	141,8
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104,7	111	117,3	123,8	131
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	107,2	114,1	121,1	130,5	140,6

ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა ხუთწლედის წლების მიხედვით მოწმობს, რომ საბჭოთა ეკონომიკის განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება მიდის განუწყვეტელ აღმავალი ხაზით.

I. ხუთწლიანი გეგმა ლენინური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განსახიერებაა

მეცხრე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის გზით ჩვენი საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. ხუთწლიანი გეგმის შესრულება სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობათა ახალი მკაფიო დადასტურება იქნება.

ხუთწლედის მთავარი ამოცანა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ ჩამოაყალიბა, ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც მეცხრე ხუთწლედის მთავარ ამოცანად შრომელთა კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესება დასახა, მხედველობაში აქვს, რომ ეს კურსი განსაზღვრავს ჩვენს საქმიანობას არა მარტო მომავალ ხუთწლიწადში, არამედ ხანგრძლივი დროისათვის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ზოგად ორიენტაციასაც. როცა ასეთ კურსს სახავს, პარტია უწინარეს ყოვლისა იმით ხელმძღვანელობს, რომ ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანია“.

ჩვენი პარტიის ეს კურსი კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ხუთწლიანი გეგმის დავალებებში.

როგორია ამ გეგმის ძირითადი ნიშანთვისებანი?

ჯერ ერთი, იგი შოიცავს ფართო სოციალურ პროგრამას, რომელიც წიაჯერ ერთი, იგი შოიცავს ფართო სოციალურ პროგრამას, რომელიც წინანდელთან შედარებით უფრო მნიშვნელოვნად მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს. სახალხო მეურნეობის ხანგრძლივმა ორიენტაციამ ხალხის კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესებისაღმი მეცხრე ხუთწლედში მოითხოვა საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილება და დიდი სტრუქტურული ცვლილებების შეტანა ქვეყნის ეკონომიკაში. ეს უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ:

— გადიდდა ეროვნული შემოსავლის წილი, რომელიც გათვალისწინებულია მოხმარებისათვის;

— გადიდდა კაპიტალურ დაბანდებათა წილი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისათვის,

— სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში გადიდდა სახალხო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქციის წილი;

— მოსახლეობის მომსახურების სფერში ჩაბმულია მნიშვნელოვანი შრომითი რესურსები.

მეორე, გეგმა ითვალისწინებს მძიმე მრეწველობის — საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი გაფართოებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის ამ საფუძველის შემდგომ მძლავრ განვითარებას. ეს საშუალებას მოგვიმზადებს ეფექტიანი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, მნიშვნელოვნად გავზარდოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, ბევრად გავაფართოოთ მოსახლეობისათვის საქონლის გამომშვები დარგების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი სფეროს მომარაგება.

მესამე, გეგმა უზრუნველყოფს პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამის განხორციელებას. ამ პროგრამის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარი ფაქტორებია ქიმიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია, მელიორაცია, წარმოების ელექტროენერგეტიკული ბაზა, ბიოლოგიური მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენება. ახლა სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სელექციის საკითხებს — უხვმოსავლიანი ჯიშის მცენარეთა და განსაკუთრებული პროდუქტიული ჯიშის პირუტყვის გამოყვანას. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა უპირატესი ზრდა, მანქანებისა და მინერალური სასუქების მიწოდების მნიშვნელოვნად გადიდება.

მეოთხე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ერთიანი სახელმწიფოებრივი რეჟიმიკური პოლიტიკის განხორციელება საზოგადოებრივი წარმოების ზრდის სწრაფი ტემპისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი საშუალება ხდება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამა ხუთწლიანი გეგმის ორგანული ნაწილია. ამ პროგრამის საფუძველია შრომის პრინციპულად ახალი იარაღების, ახალი მასალების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შექმნა და დანერგვა წარმოებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

1971-1975 წლებისათვის დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი მყარი ტემპები სავსებით შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს.

გეგმაში გათვალისწინებულია ხუთწლედის თვითეული წლის დავალებანი.

II. საზოგადოებრივი წარმოების ზრდა და მისი ეფექტიანობის ამაღლება

მეცხრე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობა ქვეყნის მთელი საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა და მისი ეფექტიანობის ამაღლება.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი ეკონომიკის განვითარების ჭეშმარიტად გიგანტურ მასშტაბს მეცხრე ხუთწლედში. 1975 წელს ყველა ძირითადი ფონდის ღირებულება სახალხო მეურნეობაში შეადგენს ტრილიონ მანეთზე მეტს. სამრეწველო პროდუქციის წლიური მოცულობა ფულადი გამოსახულებით მიაღწევს თითქმის 550 მილიარდ მანეთს. ელექტროენერგიის გამომუშავება გადააჭარბებს ერთ ტრილიონ კილოვატსაათს, ფოლადის წარმოება შეადგენს დაახლოებით 150 მილიონ ტონას, ნავთობის მოპოვება დაახლოებით 500 მილიონ ტონას, ცემენტის წარმოება მიაღწევს 125 მილიონი ტონის დონეს. ქსოვილების გამოშვება გადააჭარბებს 11 მილიარდ კვადრატულ მეტრს, ტყავის ფეხსაცმლის წარმოება კი შეადგენს 830 მილიონ წყვილს. ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის საერთო მოსავალმა უნდა გადააჭარბოს 200 მილიონ ტონას, ხორცის წარმოება მიაღწევს დაახლოებით 16 მილიონ ტონას, რძისა — 100 მილიონ ტონას, კვერცხისა — 52 მილიარდ ცალს. ეს ციფრები დამაჯერებლად მოწმობენ წარმოების მაღალ დონეს, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებას. (ტაში).

სსრ კავშირის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1975 წელს გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლანდელ დონეს. ეს, ამხანაგებო, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ახალ ხუთწლედნი არსებითად უნდა წავიწიოთ წინ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში. სწორედ ამ სფეროში გადადის ახლა ორი სხვადასხვა მსოფლიო სისტემის ეკონომიური შეჯიბრების სიმძიმის ცენტრი. ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითებით, რომ „იმარჯვებს ის, ვისაც უდიდესი ტექნიკა, ორგანიზებულობა, დისციპლინა და საუკეთესო მანქანები აქვს“. (თხზ., ტ. 27. გვ. 221). დარწმუნებული ვართ, რომ გაიმარჯვებს სოციალიზმი! (ტაში).

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ საფუძვლად უდევს მეცხრე ხუთწლედში მატერიალური წარმოების განვითარების გეგმას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგრამა თვალისწინებს კონკრეტული პრობლემების შემუშავებას, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებას.

ამჟამად ქვეყანას აქვს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი აღჭურვოს შრომის ახალი იარაღებით. მიმდინარე ხუთწლედში შრომის იარაღების წარმოება უნდა გადიდდეს 1,6-ჯერ. უნდა შეიქმნათ დაახლოებით 25 ათასი და ავითვისოთ 19 ათასზე მეტი ახალი მანქანის, მექანიზმის, აპარატის, ხელსაწყოს წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შრომის იარაღების ტექნიკურ-ეკონომიური მახასიათებლების გაუმჯობესებას — მათ ნაყოფიერებას, შუამბის დროს ეკონომიურობას, მასალატევადობის შემცირებას, საიმედოობას.

ახალი მოწყობილობის შექმნის კურსი აისახა სამინისტროთა დავალებებში დიდი ერთიანი სიმძლავრის მანქანებისა და აგრეგატების შექმნისა და წარმოების ათვისების დარგში. ეს არის, მაგალითად, დიდი ენერგობლოკები, დიდი მოცულობის ბრძმედები, მძლავრი კონვერტორები, აგრეგატები და დანადგარები ქიმიური, ნავთობქიმიური და სხვა წარმოებებისათვის, რტორული კომპლექსები და ექსკავატორები სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობისათვის და ბევრი სხვა.

უდიდესი სივრცეების მქონე ჩვენი ქვეყნისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგიის მიწოდებას დიდ მანძილზე. გაგრძელდება ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნის სამუშაოები იმ გზით, რომ გაერთიანდება ქვეყნის ევროპული ნაწილის უკვე მოქმედი ერთიანი ენერგოსისტემა, რომლის საერთო სიმძლავრე ას მილიონ კილოვატს აღემატება, და ციმბირის, აღმოსავლეთისა და შუა აზიის ენერგოსისტემები. ამისათვის აშენდება ზემძლავრი ელექტროგადამცემი შორი ხაზები. პირველად მსოფლიო პრაქტიკაში იქნება კომპლექსური მაღალი ძაბვის მოწყობილობა 1,5 მილიონი ვოლტი ძაბვის მუდმივი დენის ხაზებისა და 1 მილიონ 150 ათასი ვოლტი ძაბვის ცვლადი დენის ხაზებისათვის.

ჩვენი მანქანათმშენებლობა იწყებს ცალკეული წარმოების ხელახალი კომპლექსური ტექნიკური აღჭურვის მანქანების სისტემების შექმნასა და ათვისებას. დამთავრდება სამთამადნო, ქვანახშირის, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობისა და ზოგიერთი სხვა დარგის მანქანების სისტემების დამუშავება და ათვისება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვისათვის დასახულია უფრო დიდი სიმძლავრისა და მეტი სამუშაო სიჩქარეების მქონე ტრაქტორების სერიული გამოშვება; დაინერგება ჩქარული სასოფლო-სამეურნეო მანქანების სისტემები, რომლებიც მძლავრ ტრაქტორებთან კომპლექსში მუშაობენ.

ხუთწლეულში უნდა შეიქმნას ბევრი ახალი მაღალეფექტიანი მასალა. მაგალითად, მეტალურგებმა უნდა ითვისონ სხვადასხვა სახეობის სპეციალური ფოლადების, შენადნობების, პრესფხვნილების, ლითონპლასტიკების, ახალი ნახევარგამტარების, განსაკუთრებით ხალასი და მაგნიტური მასალების წარმოება. ქიმიკოსებმა უნდა შექმნან ახალი პოლიმერები და სხვა სინთეზური მასალები მანქანების კვანძებისა და დეტალების მსუბუქი საშენი კონსტრუქციების დასამზადებლად. გეგმაში გათვალისწინებულია ზესალი

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სადღეგრძელო

(დასასრული).

დილის 10 საათზე დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პალატების ცალცალკე სხდომები. კავშირის საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში კრემლში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ა. პ. შიტიკოვის თავმჯდომარეობით. ეროვნებათა საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში კრემლში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ი. ს. ნასრიდინოვის თავმჯდომარეობით.

სესიის მონაწილეებმა პალატების სხდომებზე ფიზზე ადგომით პატივი სცეს დეპუტატების ვ. გ. გაირბეკოვის, ნ. ლ. კონოვალოვის, ს. ო. პრიტიცკის, ი. პ. სკუულკოვის, მ. კ. იანგელის, ა. გ. დანკოვცევის, ხ. ა. ზაქარიაძის ი ზ. ფინგაზეევის. ლ. ს. სობოლევისა და მ. ი. ჩიჩელნიკოვას ხსოვნას, რომლებიც სესიებს შორის განვლილ დროში გარდაიცვალნენ.

პალატების ცალცალკე სხდომებზე მოისმინეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიათა მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეულ დეპუტატთა რწმუნებულების შემოწმების შესახებ.

დაშტკიცდა სესიის დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა.
2. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა.
3. სსრ კავშირის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დამტკიცდა აგრეთვე სესიის მუშაობის წესი.

11 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში კრემლის დიდ სახახლეში დაიწყო სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ბ. ი. პონომარიოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, ა. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნინს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ ე შელესტს ვ ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. ანდროპოვს, პ. ნ. დემიჩევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, ბ. ნ. პონომარიოვს.

ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. პ. შიტიკოვმა. მან განაცხადა, რომ სესიას ესწრება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო სკუპშჩინის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საკავშირო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილე მარიან ბრეცელი. შეკრებილნი გულთბილად მიეხალმნენ იუგოსლავ სტუმრებს.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს დეპუტატ ი. ვ. კაპიტონოვს. უხუცესთა საბჭოს დავალებით მას წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად ბელორუსიის სს რესპუბლიკისაგან აირჩიონ დეპუტატი თ. ა. სურგანოვი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ლა ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან — დეპუტატი ა. პ. ვადერი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლონ დეპუტატი ვ. ს. ტოლსტიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩიონ დეპუტატი ბ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და დეპუტატი რ. ბ. ბამზაროვი — დაღესტნის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს ეს წინადადება.

ამის შემდეგ დეპუტატებმა დაიწყეს დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხების — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის განხილვა. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ა. ნ. კოსიგინის მოხსენება დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. მოხსენების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე — სსრ კავშირის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება—გამოვიდა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი ვ. მ. ბარბუშოვი.

შესვენების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში გაიმართა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ს. ნასრიდინოვი.

დეპუტატებმა მოისმინეს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. თანამოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. მ. გერასიმოვმა.

ამის შემდეგ დაიწყო სესიის დღის წესრიგის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების განხილვა. სხდომაზე გამოვიდნენ დეპუტატები: ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ნ. აქსიონოვი. ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ხოლოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იბრაგიმოვი, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ვ. დ. შაშინი, უზბეკეთის კომპარტიის ხორეზმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ხუდაიბერგენოვი, კომის ასსრ ეორკუტის ქვანახშირის კომბინატის „კაპიტალნაია“ შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ი. პ. ბრონნიკოვი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბ. იბასანოვი.

დეპუტატებმა გულდაგულ და საქმიანად განიხილეს მოხსენება ხუთწლიანი გეგმისა და 1972 წლის გეგმის შესახებ, მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. თავიანთი გამოსვლებში მათ ილაპარაკეს მშრომელთა ბრძოლაზე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტურ ვალდებულებათა და საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჭიუნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებზე. დეპუტატებმა მოიწონეს სესიის განსახილველად შეტანილი გეგმებისა და ბიუჯეტის პროექტი და წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის უფრო სწრაფად და უკეთ შესრულებას.

25 ნოემბერს სესია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენება

(გაგრძელება)

მასალების ხელოვნური კრისტალების მიღების მეცნიერთა მიერ აღმოჩენილი გზების შემდგომი გამოყენების დავალებანი.

ტექნიკურ პროგრესს უპირატესად განსაზღვრავს ჩარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენების, ქიმიური, აგრეთვე ელექტრო და ელექტრონულ-ტექნოლოგიური პროცესების უფრო ფართოდ დანერგვის საფუძველზე. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მაღალეფექტიანი უწყვეტი და ერთსტადიიანი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება, რომლებიც აპკრავენ შრომითისა და მატერიალურ დანახარჯებს და უზრუნველყოფენ ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და დანაკარგების შემცირებას. ქიმიური ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად გაფართოვდება კატალიზური პროცესებისა და ახალი უფრო ეფექტიანი ტიპის კატალიზატორების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების ინტენსიფიკაციას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებასა და წარმოებაში მიღებიერების მიღწევების დანერგვის ვადების შემცირებას.

მიმდინარე ხუთწლედში სახელმწიფოს დანახარჯები მეცნიერული კვლევის მოწყობისა და საქვეინერო დაწესებულებათა ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცებისათვის განვლილ ხუთწლეულთან შედარებით დიდდება 60 პროცენტით და მიჩამდ.

საბჭოთა მეცნიერებმა წარმოების მუშაკებთან მჭიდრო კონტაქტით გაამდიდრეს ჩვენი სამშობლო ბევრი აღმოჩენითა და გამოგონებით. ისინი ამუშავებენ ბევრ ახალ პრობლემას, რომელთა წარმატებით დაგაწყვეტა მკვეთრად აამაღლებს წარმოების ეფექტიანობას. უმნიშვნელოვანესი ამ პრობლემებიდან შეტანილია სახალხო-სამეურნეო გეგმაში, სამინისტროების გეგმებში. მნიშვნელოვნად განვითარდება მეცნიერული კვლევა პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნისათვის. აგრეთვე ამ პროცესების შესაბამისი ტექნიკის შექმნისათვის. დასახულია მოეწყოს დიდმნიშვნელოვანი კვლევა მშრომიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში. გაგრძელდება და განვითარდება სამეშაოები თერმოატომური სინთეზის პრობლემაზე. ფართოდ გაგრცელდება ლაზერის ტექნოლოგია. დიდ როლს შეასრულებს ბიოლოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევების რეალიზაცია.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია მოეწყოს სამეშაოები ისეთ დიდ პრობლემებზე, როგორიც არის მსოფლიო ოკეანის რესურსების შესწავლა და გამოყენება, გაეშუჭიანებისაგან წყლისა და ჰაერის აუზების დაცვა, წყლისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება.

ჩვენს გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს დიდი წვლილი შეაქვთ წრომის ნაოფიერების ზრდის დავალებათა შესრულებაში. ასეთი ადამიანების შეკრებამ, ეფექტიანი გადაწყვეტის შემუშავებამ, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ. ამ ახლის, პროგრესულის შემქმნელების შემოქმედებითმ ინიციატივას მხარს უნდა უჭერდნენ და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს სამეურნეო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ხუთწლიანი გეგმა სახავს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. მაგალითად, მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 1975 წელს უნდა გაიზარდოს თითქმის 39 პროცენტით, სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში — 38, მშენებლობაში — 37, რკინიგზის ტრანსპორტზე — დაახლოებით 23 პროცენტით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ხუთწლეულში ერთეულ პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანახარჯები არსებითად შემცირდება. თუ 1960 წელს 1 მილიონი მანეთი ღირებულების საერთო საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოებაზე იხარჯებოდა 267 მუშაკის შრომა, 1970 წელს დაიხარჯა 150, 1975 წელს დაიხარჯება მხოლოდ 113 მუშაკის შრომა.

შრომის ნაყოფიერების დასახული ზრდა მოითხოვს, რომ ხუთწლეულის მანძილზე მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთ მუშაკთა რიცხვი გაიზარდოს მხოლოდ 4,7 მილიონით, მაშინ როცა 1970 წლის შრომის ნაყოფიერების დონის პირობებში დამატებით საჭირო იქნებოდა 37 მილიონი მუშაკი. მაშასადამე, წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, მისი ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად შრომის ნაყოფიერების ზრდა საშუალებას ვაძლევს რეალურად დავზოგოთ მუშახელი — მატერიალურ წარმოებაში დავსაქმოთ 32 მილიონი კაცით ნაკლები. ასეთი ეკონომია ჩვენი სოციალისტური მეურნეობის დიდი მონაპოვარი იქნება.

ამ პრობლემის გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთწლეულის მანძილზე შრომითი რესურსების მატება შეადგენს დაახლოებით 10 მილიონ კაცს, აქედან, როგორც აღინიშნა, 4,7 მილიონი დამატებით დასაჭირდება მატერიალურ წარმოებას, დანარჩენი 5 მილიონი კი უზრუნველყოფს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მომსახურების სფეროსა და სხვა არამწარმოებლური დარგების მუშაკთა რიცხვის მატებას.

უნდა ითქვას, რომ შრომითი რესურსების მეტ წილს ეკავა ვიეტნამთ მოსახლეობს მიმდინარე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, სსრ კავშირის ეინტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, მერვე ხუთწლედის დამთავრებისათვის სახალხო მეურნეობაში ყველა მომუშავეთა სამი მეოთხედი პირდაპირ ან არაპირდაპირ მუშაობდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ისინი არიან სოფლის მეურნეობის, სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი მრეწველობის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული დარგების მუშაკები, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაკები, ტრანსპორტის მუშაკები, რომლებიც მუშაობენ მოხმარების საქონლისა და მისი ნედლეულის გადაზიდვისათვის, მასწავლებლები, ექიმები, ჯანრთველობისა და სხვა მუშაკები, რომლებიც დაკავშირებული არიან მოსახლეობის მომსახურებასთან. მომუშავეთა მხოლოდ მეოთხედი იყო დასაქმებული წარმოების საშუალებათა წარმოებაში. რომლებსაც საბოლოო ანგარიშით ვიყენებთ საწარმოო დანიშნულების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მხოლოდ მეცხრე ხუთწლიანი გეგმით დასახული შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულება საშუალებას მოგვცემს მუშახელით უზრუნველყოფილ მატერიალური წარმოების განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების მნიშვნელოვნად გაფართოებული სფეროს მოთხოვნილებანი.

სოციალურ-ეკონომიურ ამოცანათა შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო წარმოების განვითარებას, მრეწველობის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი მატება ბასალ ხუთწლედთან შედარებით: მეცხრე ხუთწლეულის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება შესადარ თასებში გაორდება 174 მილიარდი მანეთით, მაშინ როცა მერვე ხუთწლედში მატებამ შეადგინა 125 მილიარდი მანეთი.

ძირითადი სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთწლედის წლების მიხედვით შეადგინს:

	1971 წელი	1972 წელი	1973 წელი	1974 წელი	1975 წელი
ელექტროენერგია—მილიარდი კილოვატსაათი	790	850	913	985	1065
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლა)—მილიონი ტონა	371	395	429	461	496
გაზი ბუნებრივი— მილიარდი კუბური მეტრი	211	229	250	280	320
ქვანახშირი—მილიონი ტონა	620	634	652	670	695
ფოლადი— მილიონი ტონა	120	126	131	138	146
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქცია — მილიარდი მანეთისა	22,8	25,2	27,9	31,7	36,3
პოლიმერები და სინთეზური ფისები—ათასი ტონა	1785	1992	2277	2759	3533
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	672	746	828	911	1065
ცემენტი—ათასი ტონა	5447	5812	6637	7496	8490
ქაღალდი—ათასი ტონა	4362	4556	4855	5174	5564
ციმენტი—მილიონი ტონა	99	103,4	108,5	116,3	125
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავების პროდუქცია— მილიარდი მანეთისა	93	104	116	130	146
ავტომობილი—ათასი ცალი	1122	1376	1703	1987	2100
აქედან მსუბუქი ავტომობილი — ათასი ცალი	513	728	977	1204	1260
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	3310	3868	4487	5359	6308
მსუბუქი და ყვების მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა—მილიონი მანეთისა	825	934	1127	1338	1576
სასოფლო-სამეურნეო მანქანები— მილიონი მანეთისა	2336	2641	2978	3324	3702
ტრაქტორი — ათასი ცალი	470	478	502	542	575
მილიონი ცხენის ძალა	31,6	34	42,7	49,3	53
მარცვლეულის ასალები კომბაინი—ათასი ცალი	102	103	94	123	138
მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონელი — მილიარდი მანეთისა	82	89	95	102	112
ავეჯი—მილიარდი მანეთისა	2,99	3,34	3,68	4,086	4,63
მაკივარი — ათასი ცალი	4568	5131	5782	6288	6901
ქსოვილები—მილიარდი ყვადრატული მეტრი	9,4	9,6	10,06	10,45	11,1
საჭიროა ავაღაღლოთ მშენებარე და სარეკონსტრუქციო საავტომობილო გზების ხარისხი. ახლა ეს ხარისხი ბევრ შემთხვევაში არ არის დამაკმაყოფილებელი. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა და საგზაო მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებს დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და შესაბამისმა სამინისტროებმა.					
ავტომობილი—ათასი ცალი	513	728	977	1204	1260
ავტომობილებზე ასაღები ასფალტბეტონის ნარევი — მილიონი ტონა	3310	3868	4487	5359	6308
ცემენტბეტონზე ასაღები ნაგებობა — ათასი კუბური მეტრი	825	934	1127	1338	1576
ხიდები, ეტლგადასასვლელები, ტუნელები — ათასი ფეხი	2336	2641	2978	3324	3702
ავტომობილთა ავარიებისგან დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობა — ათასი კაცი	470	478	502	542	575
ავტომობილებზე ასაღები ასფალტბეტონის ნარევი — ათასი ტონა	31,6	34	42,7	49,3	53
ცემენტბეტონზე ასაღები ნაგებობა — ათასი კუბური მეტრი	102	103	94	123	138
ხიდები, ეტლგადასასვლელები, ტუნელები — ათასი ფეხი	82	89	95	102	112
ავტომობილთა ავარიებისგან დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობა — ათასი კაცი	2,99	3,34	3,68	4,086	4,63

ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახალხო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზის შემდგომი განმტკიცება და ტექნიკური აღჭურვა.

გათვალისწინებულია ელექტროენერგეტიკის სწრაფი განვითარება მძლავრი თბოელექტრსადგურებისა და ჰიდროსადგურების მშენებლობის გზით. მნიშვნელოვნად განვითარდება ატომური ენერგეტიკა.

ქვეყნის სათბობის ბალანსში გათვალისწინებულია ნავთობისა და გაზის წილის შემდგომი გადიდება. უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე, მიმდინარეობს ნავთობის მოპოვების ახალი რაიონების ათვისება. მაგალითად, დასავლეთ ციმბირში, ტიუმენისა და ტომსკის ოლქებში, — სადაც საბადოების ათვისება პრაქტიკულად მხოლოდ წინა ხუთწლედში დაიწყო, 1975 წელს ნავთობის წლიური მოპოვება 125 მილიონ ტონამდე გაორდება.

გაგრძელდება სამშეაობები ქვეყნის ნავთობ და გაზმომარაგების ერთიანი სისტემის შექმნისათვის. შენდება მილსადენები ნავთობისა და გაზის მძლავრი ნაკადების მისაღებად მოპოვების ახალი რაიონებიდან, როგორიც არის ტიუმენი, მანგიშლაკი, ვოლგისპირეთი, ორენბურგი და უდმურტეთის ასსრ. ზამთრის პირობებში შეუფერხებელი გაზმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია მთელი რიგი სამრეწველო ცენტრების მახლობლად გაზის მიწისქვეშა საცავების მნიშვნელოვანი გაფართოება.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის ნედლეულის დაბაზების შემდგომი განვითარება. განსწრაფილდება ამ დარგების ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, ამასთან ყურადღება მიექცევა იმ მასალების წარმოების გაფართოებას, რომლებიც ყველაზე უფრო მომზადებულია მომხმარებელთა მიერ გამოყენებისათვის, აგრეთვე ნედლეულისა და მასალების იმ ახალ მაღალხარისხოვან სახეობათა გამოშვებას, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე მანქანების, მოწყობილობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოთხოვნებს.

შავ მეტალურგიაში აითვისებენ ლითონის დაახლოებით 500 ახალ ეკონომიურ პროფილს. გამოშვებული პროფილების რაოდენობის ზრდა და ნაგლინის ხარისხის გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს 1975 წელს მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში დავზოგოთ 8 მილიონ ტონაზე ლითონი. გაზის მაღალი წნევისათვის გათვალისწინებული დიდი დიამეტრის გაზსადენი მილების წარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ბავშვარდოთ მილსადენების გამტარუნარიანობა და გაკაიაფოთ გაზის ტრანსპორტირება.

დიდი ამოცანებია დასახული ფერადი მეტალურგიის წინაშე. მნიშვნელოვნად გაიზრდება ალუმინის, თუთიის, სპილენძის, ნიკელისა და ბევრი სხვა ფერადი და იშვიათი ლითონის წარმოება.

ქიმიურ მრეწველობაში აითვისებენ 4 ათასზე მეტი ახალი სახეობის ქიმიური პროდუქტების წარმოებას. ერთიორად და მეტად გაიზრდება სინთეზური ბოჭკოებისა და პლასტმასების გამოშვება. აგრეთვე ბევრ მაღალხარისხოვან სინთეზური ელასტიკების წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ უფრო ხანგამძლე ავტომობილის საღეჭების წარმოება.

გათვალისწინებულია ხე-ტყის მრეწველობის მუშაობის გარდაქმნა, რომელიც ჯერჯერობით ვერ ასრულებს თავის ამოცანებს. აღებულია ეჭრილი, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ დამზადებული მერქანი, გადავამუშაოთ მისი ის ნაწილიც, რომელიც ახლა ნარჩენებად იყარება.

მანქანათმშენებლობის პროგრამა უზრუნველყოფს მძიმე მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებასა და განახლებას, მსუბუქი, კვების მრეწველობის, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარმოთა ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას.

მანქანათმშენებლობა წინაშე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის კაპიტალური დაბანდება ამ დარგებში თითქმის ერთიორად გაიზრდება წინა ხუთწლედთან შედარებით. არსებითად ამაღლდება თვით მანქანათმშენებლობის ტექნიკური დონე, გაუმჯობესდება მოწყობილობის პარკის სტრუქტურა.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. 1975 წელს უნდა გამოვიშვათ 49 პროცენტით მეტი ასეთი საქონელი, ვიდრე 1970 წელს. წარმოების ასეთი ზრდა მოითხოვს მსუბუქი და ყვების მრეწველობის ბევრი ახალი საწარმოს ამუშავებას, მოქმედი ქარხნებისა და ფაბრიკების ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას. ამ მიზნებისათვის სახელმწიფო გამოყოფს დიდძალ სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებაში დიდმნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მანქანათმშენებლობის, ქიმიური და თავდაცვითი მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებსა და მრეწველობის სხვა დარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით პროდუქციის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაახლოებით მესამედით გაიზრდება. მნიშვნელოვნად გადიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა.

1971-1975 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფო და კოლმეურნეობები გამოყოფენ თითქმის 129 მილიარდ მანეთ კაპიტალურ დაბანდებას

სოფლის მეურნეობა ხუთწლეულში მიიღებს საშუალოდ უფრო დიდი სიმძლავრის მილიონ 700 ათას ტრაქტორს, დიდი წარმადობის ახალ მარცვალასაღებ და სიმინდასაღებ კომბაინებს, დასაწვიმ მანქანებს, მინერალური სასუქების შესასტან მანქანებსა და ბევრი სახეობის სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მეცხოველეობის საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის განკუთვნილი მანქანების გამოშვება ერთიორად და მეტად გაიზრდება. გადიდდება მანქანების წარმოება. მიწების მელიორაციის ფართო პროგრამის შესასრულებლად მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის ელექტროაღჭურვილობა.

მინერალური სასუქების წარმოება 1975 წელს მიაღწევს 90 მილიონ ტონას 1970 წლის 55,4 მილიონ ტონასთან შედარებით.

ხუთწლეულში საოსპლოოსტაციოდ გადაეცემა 3,2 მილიონი ჰექტარი სარწყავი მიწა. 5 მილიონი ჰექტარი ამოშრობილი მიწა და 41 მილიონ ჰექტარზე მეტი გაუსოფლანებული სანოვარი. დასახულია ამოშრობილ და სარწყავ მიწებზე შეიქმნას სასანერნო მარცვლეულის წარმოების დიდი ბაზები ვოლგისპირეთში. ჩრდილოეთ კავკასიაში. სამხრეთ ურალიანში.

დიდი ღონისძიებანი დასახული მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი პირობაა სასაკვებით უზრუნველყოფა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს საკვების, განსაკუთრებით კონცენტრირებული და სასაძოვრო საკვების წარმოება, უწინარეს ყოვლისა, საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მაღალპროდუქტიული სარწყავი სანოვრების შექმნის გზით. კომბინირებული საკვების წარმოება 1975 წელს გადიდდება თითქმის 35 მილიონ ტონამდე, საკვები ფოსფატებისა —3 მილიონ ტონამდე, ცილა-ვიტამინიანი დანამატებისა — 1 მილიონ ტონამდე და მეტად. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში აშენდება სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მსხვილი კომპლექსები.

სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი უდიდესი სახსრები მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ.

ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა ტრანსპორტის განვითარებას.

კაპიტალური დაბანდება რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში თითქმის 1,6-ჯერ გაიზრდება. დასახულია 5,6 ათასი კილომეტრი ახალი რკინიგზის ხაზის გაყვანა და 6 ათასი კილომეტრი ხაზის ელექტრიფიცირება. აშენდება თითქმის 3,5-ჯერ მეტი მეორე ლინდადგი, ვიდრე განვლილ ხუთწლედში. მრეწველობა რკინიგზას მიაწვდის 425 ათას სატვირთო ვაგონს — 65 პროცენტით მეტს, ვიდრე განვლილ ხუთწლეულში. მნიშვნელოვნად გაიზრდება რკინიგზის ტრანსპორტის ზიდვაუნარიანობა, გაუმჯობესდება სამგზავრო მიმოსვლა.

ხუთწლედის წლებში დიდად განვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი. მკვეთრად გადიდდება მუშუქი ავტომანქანების პარკი. ეს მოითხოვს სარემონტო საწარმოების, ტექნიკური მომსახურების სადგურების ქსელის გაფართოებასა და მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ცენტრალიზებული ტვირთზიდვის სისტემის სრულყოფას, ახალი საავტომობილო გზების მშენებლობასა და მათი ექსპლოატაციის გაუმჯობესებას.

საჭიროა ავაღაღლოთ მშენებარე და სარეკონსტრუქციო საავტომობილო გზების ხარისხი. ახლა ეს ხარისხი ბევრ შემთხვევაში არ არის დამაკმაყოფილებელი. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა და საგზაო მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებს დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და შესაბამისმა სამინისტროებმა.

არსებითად ამაღლდება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. დაახლოებით ერთიორად გაიზრდება კონტეინერებით ტვირთზიდვის მოცულობა, რაც საატრანსპორტო საშუალებების უკეთ გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს.

საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ფლოტებს შეემატება თანამედროვე გემები და თვითმფრინავები, დასახულია ბევრი საზღვაო და სამდინარო ნავსადგურის გაფართოება და რეკონსტრუქცია, ახალი აეროპორტების მშენებლობა და მოქმედი აეროპორტების რეკონსტრუ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენება

(გაგრძელება)

2. გაუდიდდებათ პენსიები ინვალიდებსა და მუშაოთა, მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი. 1973 — 1974 წლები
3. გაუდიდებათ დახმარება დროებითი შრომისუნარობის შემთხვევაში. 1974 წელი
ამ ღონისძიებათა ნაწილი განხორციელდა უკვე 1971 წელს.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს სისტემა, როცა სახელმწიფო მრავალმხრივ დახმარებას უწევს ოჯახებს მოზარდი თაობის აღზრდაში, განსაკუთრებით მრავალშვილიან ოჯახებს. მეცხრე ხუთწლედში ამ სისტემას შეემატება ნაღდად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვთათვის დახმარების გაზვრის შემოღება, რომლებშიც ერთობლივი შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალს — დედას. წესდება ორსულობის გამო შვებულების ასპროცენტიანი ანაზღაურება, შიუხედავად მუშაობის სტაჟისა. დიდდება ავადმყოფი ბავშვის მოსავლელად მიცემული ანაზღაურებული დღეების რაოდენობა. შემოღებული იქნება აგრეთვე სხვა შეღავათები მომუშავე ქალთათვის.

მიღებულია გადაწყვეტილება 1972 წლის 1 სექტემბრიდან სტიპენდიების გადიდების შესახებ და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. გათვალისწინებულია გაუმჯობესდეს ქალაქების პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა კვება. გადიდდება კვებისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯვის ნორმები საავადმყოფოებში.

ღონისძიებანი ამ დარგში განხორციელდება შემდეგ ვადებში:

	განხორციელების ვადები
1. შემოღებულ იქნება იმ ოჯახების ბავშვთათვის დახმარების გაზვრა, რომელთა ერთობლივი შემოსავალი ერთ სულზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში	1974 წელი
2. გადიდდება ავადმყოფი ბავშვის მოსავლელად, მიცემული ანაზღაურებული დღეების რაოდენობა, დაწესდება ყველა მომუშავე ქალისათვის ორსულობისა და შობიარობის გამო შვებულების 100-პროცენტიანი ანაზღაურება მიუხედავად შრომის სტაჟისა და სხვა შედავათები	1973-1974 წლები
3. გაუდიდდებათ სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებსა და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს	1972 წლის 1 სექტემბრიდან
4. გადიდდება კვებისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯვის ნორმები საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე საავადმყოფოებში	1972-1973 წლები

ახლა მარტო სახელმწიფო მუდმივ საბავშვო ბაგებსა და ბაღებში იზრდება 9,4 მილიონი სკოლამდელი ასაკის ბავშვი. 5,5 მილიონი მოსწავლეა გახანგრძლივებეთი დღის სკოლებში. მომდინარე ხუთწლედში აშენდება 2 მილიონზე მეტ ადგილიანი სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში 1,7 მილიონით გაიზრდება.

როგორც მოგეხსენებათ, სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება 1947-1956 წლებში გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი სესხების ვადამდე დაფარვის შესახებ. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად სესხების დაფარვა დაიწყება 1974 წელს. გეგმაში გათვალისწინებულია ამ მიზნით გამოიყოს თითო მილიარდი მანეთი 1974 და 1975 წლებში.

მოსახლეობის შემოსავლის ზრდის მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდება მოთხოვნა საკონსეფსიო ეს გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმაში. საცალო საქონლბრუნვის მოცულობა ყოველწლიურად გაიზრდება და 1975 წელს შეადგენს 218 მილიარდ მანეთს, ანუ 64 მილიარდი მანეთით გადაამეტებს 1970 წლის ღონეს. გაიზრდება ხორცის, თევზის, რძის პროდუქტების, კვერცხის, ბოსტნეულისა და ხილის მოხმარება.

აი კვების პროდუქტების მოხმარების ზრდის ზოგიერთი მონაცემი:

(ცილოგრამი ყოველ სულზე წელიწადში)

	1965 წელი	1970 წელი	1975 წელი გეგმა
ხორცი და ხორცის პროდუქტები	41	48	59
რძე და რძის პროდუქტები	251	307	340
თევზი და თევზის პროდუქტები	12,6	15,4	22
ხილი და კენკრა	28	35	50
ბოსტნეული და ბაღჩეული	72	82	109
კვერცხი (ცალი)	124	159	192
შაქარი	34	39	43

არსებითად გადიდება მოსახლეობისათვის მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი საქონლის მიყიდვა.

ქსოვილების, ტრიკოტაჟისა და ტყავის ფეხსაცმლის გაყიდვა საშუალოდ ერთ კაცზე გაიზრდება შემდეგი ოდენობით:

	1965 წელი	1970 წელი	1975 წელი
ქსოვილები — კვადრატული მეტრი	26,5	30,4	35
ტრიკოტაჟი — ცალი	4,1	5,3	7,6
ტყავის ფეხსაცმელი — წყვილი	2,4	3,0	3,6

კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის მიყიდვა ერთიორად გაიზრდება. ხუთწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია მოსახლეობას მიეყიდოს 2 მილიონ 600 ათასი მსუბუქი ავტომობილი.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ძასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია საქონლის გამოშვების გადიდების დავალებანი სამინისტროებისა და უწყებებისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის არსებით გაუმჯობესებას. ვაჭრობას შუდამ უნდა ჰქონდეს თანამედროვე მოდისა და ფასონის საქონლის ფართო ასორტიმენტი.

სავაჭრო ორგანიზაციები და დამამზადებელი საწარმოები სერიოზულ სიძნელეებს წაწყდებიან პროდუქციის გასაღებაში, თუ არ განახორციელებენ გადამჭრელ ღონისძიებებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად. უნდა მოგაგონოთ, რომ მოსახლეობისათვის გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებთ საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს.

ხალხის კეთილდღეობაზე სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება და სრულყოფა. ხუთწლეულში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა მთლიანად ქვეყანაში დაახლოებით ერთიორად გადიდდება, სოფლად კი — თითქმის ერთისამად. სამრეცხაოებთან, ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ფაბრიკებთან, ატელიეებთან ერთად განვითარდება მომსახურების სხვა სახეობების საწარმოთა ქსელიც, მაგალითად, ბინების შეკეთების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო მანქანების შეკეთების დარგში.

დიდად განვითარდება საბინაო-კომუნალური მეურნეობა. ხუთწლეულში აშენდება 580 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა. დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანებს, აგრეთვე სახლშენის ორგანოებსა და ადგილობრივ საარქიტექტურო სამმართველოებს ქალაქების გენერალური გეგმების შემუშავების საქმის სერიოზული გაუმჯობესებისათვის, კარგად დაგეგმარებული მოხერხებული ბინების მშენებლობისათვის ქალაქმშენებლებმა უნდა შექმნან ისეთი შეხობები და ნაგებობანი, რომელთა არქიტექტურა ასახავს ჩვენი ეპოქის სიდიადეს.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული სოფლად საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის დარგში. ქალაქებში აშენდება დაახლოებით 1300 კილომეტრი ტრამვაის ლიანდაგი, 3 ათასადე კილომეტრი ტროლეიბუსის ხაზი და თითქმის 70 კილოვოლტიანი მეტროპოლიტენის ხაზი.

დიდი ყურადღება ეთმობა მშრომელთა ჯანდაცვას, ფიზიკულტურასა და სპორტს ბანვითარებას. მნიშვნელოვნად ფართოვდება საავადმყოფოებს, კლინიკებს, ამბულატორიებს, სანატორიუმებს, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზებისა და სასტუმროების მშენებლობა. კიდევ უფრო ვითარდება საკვებისთვის მრეწველობა, გათვალისწინებულია სამკურნალო დაწესებულებათა აღჭურვა უადილი აპარატურით, медикаментებით მომარაგების გაუმჯობესება, ადგილობრივი საბჭოები დღენადგ უნდა ზრუნავდნენ ქალაქებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ხალხის კეთილდღეობის ზრდის ამაღლებას, საოჯოთა ადამიანების იდეურ აღზრდასა და მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ტექნიკურად და ეკონომიურად წიგნიერ, განათლებულ, კვალიფიციურ მუშას მოითხოვს. ხუთწლეულში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები 9 მილიონ კვალიფიციურ მუშას მოამზადებენ. ყველაზე სწრაფად განვითარდებიან სასწავლებლები, სადაც ახალგაზრდობა ერთდროულად იღებს პროფესიასა და ზოგად საშუალო განათლებას. კადრები კვალიფიკაციას ამაღლებენ წარმოებაშიც.

დასახულია კიდევ უფრო გაფართოვდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულებებით.

გაიზრდება წიგნების, გაზეთების, ჟურნალების ტირაჟი. კიდევ უფრო გაზრდადება კავშირგაბმულობა, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია. გაფართოვდება თეატრების, კინოთეატრების და კინოდანადგარების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების ქსელი.

მეცხრე ხუთწლედის სოციალური პროგრამა, რომელიც მოიწონა სკკპ XXIV ყრილობამ, სავსებით შეესაბამება სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლეს მიზანს, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მოთხოვნილებებს, ჩვენი ეკონომიკის ახალ შესაძლებლობებს. ეს პროგრამა გვიჩვენებს, თუ რადენ ბევრი რამ შეიძლება გავაკეთოთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ქვეყანაში, სადაც შრომის ნაყოფი მთელ საზოგადოებას ეკუთვნის.

IV. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულების ეკონომიური და ორგანიზაციული ღონისძიებანი

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი, წარმოების მასშტაბების უდიდესი ზაზრდა. მისი ინტენსიფიკაცია მოითხოვენ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას. მთელი ეკონომიური და ორგანიზაციური მუშაობის ცენტრში უნდა იდგეს ზრუნვა ხალხის კეთილდღეობის გაფართოების დავალებათა შესრულებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

წლების მიხედვით შედგენილი მეცხრე ხუთწლიანი გეგმა საჭირო პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ავამაღლოთ სამეურნეო მართვის ყველა ორგანოს მუშაობის დონე თავიდან ბოლომდე, უზრუნველყოთ გეგმების მეტი სტაბილურობა, დავნერგოთ ხანგრძლივი მოქმედების პროგრამული ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივები. ასეთი ნორმატივების ბაზაზე შეიქმნება ეკონომიური სტიმულირების ფონდები.

ეს სამეურნეო ორგანიზაციებს პერსპექტივას დაუსახავს. ისინი შეაფასებენ სამეურნეო გადაწყვეტილებათა სხვადასხვა ვარიანტს ამა თუ ამ მომდინარე ფულადის პოზიციებიდან, არამედ ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით, მიზანმიმართულად წარმართავენ თავიანთ მეცადინეობას წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის დიდ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ხუთწლიანი გეგმა სახელმწიფო გეგმების ძირითადი ფორმაა, ხუთწლიანი გეგმის შედგენა წლების მიხედვით სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს შეგიძლოს. ყურადღების შესუსტება წლიური გეგმებისადმი. ეს გეგმები თუ არ იქნა, შეუძლებელია ეკონომიკის გეგმაზომიერი მოქმედება. წლიურ გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს წარმოქმნილი საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და წარმოების ზრდის შესაძლებლობანი ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის შედეგად.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმით დასახული და რეალი ამოცანები მოითხოვენ, რომ განუწყვეტლივ სრულყოთ სამეურნეო მართვის ყველა რგოლი, განვახორციელოთ ეკონომიური და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემა, შეიქმნათ ისეთი ეკონომიური პირობები, რომლებიც საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა კოლექტივებს სტიმულს მისცემს განახორციელონ ოპტიმალური გეგმები და დავალებანი, ეფექტიანად იბრძოლონ ტექნიკური პროგრესისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ხუთწლედის შესრულებისათვის მთავარია შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა. ეს ნიშნავს, რომ ეფექტიანი ფასებით ფასდებოდეს ყველა ის, ვინც ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ პოსტზე, ნებისმიერ ფუნქციაში, ნებისმიერ ოფისში, ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ ადგილზე

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენების დასასრული

VI. საგარეო-ეკონომიური ურთიერთობა

ამხანაგო დეპუტატებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაანიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის საკითხები. პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის აქტიური და მიზანდასახული მოქმედება სკკპ XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის. ეს, როგორც ყველას მოგეხსენებათ, არის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისათვის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის კურსი.

როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მთავარი ძალა ის არის, რომ იგი ემყარება მთელი ხალხის მხარდაჭერას, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის მაღალ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას.

საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობა ყველა ხუთწლედის მანძილზე ახალი საზოგადოებრივი წყობილების დიად უპირატესობათა, მარქსისტულ-ლენინური იდეების სისწორის, ჩვენი სიძლიერეანი კომუნისტური პარტიის საქმის უძლეველობის ყველაზე დამაჯერებელი მსოფლიო-ისტორიული დადასტურებაა. (ხანგრძლივი ტაში).

განა შეუძლია კაპიტალიზმის სამყაროს დამაჯერებელი რამ დაუპირისპიროს ამ გმირობას? არა, არ შეუძლია. და აკი ეხება მსოფლიოში ორი დაპირისპირებული სოციალურ-ეკონომიური სისტემის თანაარსებობის მთელ პერიოდს.

მსოფლიოს კაპიტალისტურ მეურნეობაში უკანასკნელი წლები აღინიშნა ძირითად იმპერიალისტურ ქვეყნებში წარმოების განვითარების ტემპის შენელებით. ამ წლებში განსაკუთრებით მატულობდა უმუშევრობა, ძლიერდებოდა ინფლაცია, იზრდებოდა ბიუჯეტის დეფიციტები, კრიზისს განიცდიდა დასავლეთის სავალუტო სისტემა. კაპიტალიზმის უდიდეს და განვითარებულ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალოწლიური ტემპი სამოცანი წლების მანძილზე თითქმის ერთნორად შენელდა: 1961-1965 წლების 5,7 პროცენტიდან 3.2 პროცენტამდე 1966-1970 წლებში. ხოლო 1969 წლის მეორე ნახევრიდან ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში დაიწყო კრიზისული განვითარების ეტაპი. მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობამ შეადგინა 1969 წლის შესაბამისი პერიოდის დონის მხოლოდ 96 პროცენტი. კიდევ უფრო მეტად დაეცა წარმოების დონე ისეთ დარგებში, როგორიც არის დამუშავებელი მრეწველობა, შავი მეტალურგია, სატრანსპორტო და საერთო მახეანთმშენებლობა და სხვა დარგები. ერთ ადგილს ტკეპნის სამრეწველო წარმოება ინგლისში. როგორც აღინიშნეული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამას წინათ გამოქვეყნებულ მოხსენებაში, მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის მდგომარეობა 1970 წელს და 1971 წლის პირველ ნახევარში „საგაოლო იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტებით“. ეკონომიური ზრდის ტემპი „ნელი და არათანაბარწმინდარი იყო ძირითადად 1969-1970 წლების დაქვეითებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შენელებული ეკონომიური აქტივობის გამო“. ამას ადასტურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. რომელიც არასოდეს არ აკნინებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური განვითარების შედეგებს.

დასავლეთის ეკონომიური ჰეგემონიობის დამახასიათებელი ნიშანია ძირითადი იმპერიალისტური ქვეყნების მონოპოლიათა საკოკურენციო ბრძოლის მკვეთრი გამწვავება. ამ პრძოლამ მიიღო ახალი მწვავე ფორმები დასავლეთის სავალუტო ღრმა კრიზისის შედეგად, რომელსაც საფუძვლად უდევს დოლარის როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის გამოყენება.

ახლა ცდილობენ გამონახონ იმ სავალუტო კრიზისიდან თავის დაღწევის გზები. რომელშიაც მოიცვა კაპიტალისტური ქვეყნები. თავგრობების, საერთაშორისო ფინანსური წრეებისა და მონოპოლიების წარმომადგენლები ცდილობენ შეთანამდნენ ერთმანეთს შორის და მოაწესრიგონ კაპიტალისტურ მეურნეობაში საერთაშორისო ანარქიწსწორების მოშლილი მექანიზმი. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რა ნიადაგზე უთანხმდებიან ერთმანეთს კაპიტალიზმის სამყაროში. მატერიალური დოვლათის, ბაზრების, ბაზრებისა და ყოველივე სხვა რამის გაყოფა იქ კაპიტალის მიხედვით, ძალით ხდება. და რაკი უფრო ძლიერია ესა თუ-ის იმპერიალისტური სახელმწიფო, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, მით უფრო დიდი ლუკმის პრეტენზიები აქვს კაპიტალისტურ ღრეობაში.

განა ამას არ მოწმობენ უკანასკნელი წლების ამბები კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური ურთიერთობის სფეროში? განა სწორედ ამ სამყაროს მთავრობა ქვეყანამ არ აიძულა თავდაპირველად სხვა კაპიტალისტური ქვეყნები დაეფინანსებინათ ეგი საგალუტო ბაზრებზე გაეფასურებული დოლარის ნიაღვრის მიშვების გზით, შემდეგ კი წელიწადზეოვა ეს ქვეყნები ამერიკის ბაზარზე, როგა დამატებითი გადასახადი შემოიღო იმპორტზე. ბევრს ეს არამართლზომიერად მიაჩნია, მაგრამ კაპიტალიზმის სამყაროში მონოპოლიების, სახელმწიფოების ურთიერთობის სხვა საფუძველი ხომ არც ყოფილა, არც არის და არასოდეს არ იქნება.

რაკი შეეხება ლდეს — დაძლიონ კრიზისი სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების გზით, როგორც გამოდილებმა ვვიჩვენებს, ეს ღონისძიებანი ვერ შეეფილიან კაპიტალიზმის ობიექტურ კანონებს და ვერ აღმოფხვრიან მის მანკიერებას.

პრინციპულად სხვაგვარ საფუძველზე ვითარდება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა. სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი სიმყარე ღლინდება სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი ეკონომიური ურთიერთობის დარგშიც. ღღეინადგან ვითარდება ვაჭრობა მათ შორის. მეცხრე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან 77 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს, ესე იგი ერთანეკვარჯერ გაიზრდება 1966-1970 წლებში ვაჭრობის მოცულობასთან შედარებით. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები კოლექტიურ სოციალისტურ ვალუტად იყენებენ გადასაყვან მანეთს და საიმედოდ არიან დაცული სავალუტო კრიზისის სხვადასხვაგვარი ზემოქმედებისაგან, რომელიც სულ უფრო მწვავე სიძნელეებს უქმნის კაპიტალისტურ მეურნეობას.

ეკონომიური ურთიერთობისა და ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება 1971 წლის ივლისში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიის მიერ მიღებული სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამას, რომელსაც ორ წელიწადზე მეტ ხანს კოლექტიურად ამუშავებდნენ სოციალისტური ქვეყნები. საბჭოთა კავშირი დიდად ეფასებს ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც ნათასწავებს თავისებურად ახალ ეტაპს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიურ თანამშრომლობაში. ამ ეტაპზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები იწყებენ სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო რესურსების ეაერთიანების ფართოდ გამოყენებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების ერთობლივი გადაჭრისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა საჭირო მატერიალურ საფუძველს უყრის ჩვენი ქვეყნის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც სასარგებლოა ყველა მონაწილე სოციალისტური ქვეყნისა და მთლიანად თანამეგობრობისათვის.

ჯერ კიდევ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის დროს შემუშავდა დიდი ღონისძიებანი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ამ ქვეყნების ინტეგრაციიული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ასეთი ღონისძიებანი აისახა არა მარტო ორმხრივადაან საგაჭრო შეთანხმებებში, არამედ მიმდინარე ხუთწლეულის ჩვენს საშინაო გეგმებშიც. მათ მიიკუთვნება „მეგობრობის“ ნავთობსადენების სისტემის გაფართოება და სოციალისტურ ქვეყნებში ნავთობისა და გაზის მიწოდებისათვის ახალი მილსადენების გაკვანა. სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა ატომური ენერგეტიკის დარგში, შეთანხმებანი, რომ სსრ კავშირში შეიქმნას ეაერთიანული სანდლეულო საქონლის წარმოების დამატებითი სიმძლავრეები მისი ექსპორტისათვის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში და შეთანხმებანი საწარმოო კოოპერაციისა და სპეციალიზაციის შესახებ.

კომპლექსური პროგრამის შესაბამისად მომდინარე ხუთწლეულში ეათვალისწინებულია დაიწყოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი დაინტერესებული ქვეყნების რესურსების ეაერთიანება, რათა ეადაიჭრას ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიც არის ენერგეტიკული ბაზის პრობლემა, დამატებითი სიმძლავრეების შექმნა. უწინარეს ყოვლისა ნავთობის, გაზის, ელექტროენერგიის ნაწარმის. აზბესტის, ფოსფორიანი სასუქების წარმოებაში, აგრეთვე დიდი ტრანსპორტმოწყობის საგზაო ავტომობილების, კონტეინერებით ტვირთბიდგის უზრუნველყოფის საშუალებათა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის საშუალებათა წარმოებაში.

ჩვენი საგარეო, საგარეო-საგაჭრო, სამეურნეო ორგანოები მუდმივ ყურადღებას უნდა უთმობდნენ სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, შრომის რაციონალური ეროვნული დანაწილების ერთობლივ ღონისძიებათა მომზადებისა და განხორციელების საკითხებს და საჭიროა, რომ ეს საკითხები აისახოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში. 15-20 წლისათვის გათვალისწინებულ კომპლექსურ პროგრამაში დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია მტკიცე კურსია ჩვენი პარტიის პოლიტიკისა როგორც უსლოესი წლებისათვის, ისე ხანგრძლივი პერსპექტივისათვის.

ახალ ხუთწლედში საბჭოთა კავშირი განაგრძობს ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას მსოფლიოს სხვა ქვეყნებთანაც, რომლებიც მზად არიან განავითარონ ურთიერთობა თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. როგორც აღნიშნულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და კომპლექსურ პროგრამაში, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაცია ღია ხასიათისაა და არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის, განვითარებად ქვეყნებთან, აგრეთვე მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გზაზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ასეთი ურთიერთობის გაფართოებას, რამდენადაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თავისებურებანი საჭიროდ ხდიან ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას და რამდენადაც სანგრძლივი პერსპექტივისათვის გათვალისწინებულ მყარ ეკონომიურ ურთიერთობას მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად ხელმეწყობი პირობების შექმნის თვალსაზრისით.

გრძელვადიან შეთანხმებათა პრაქტიკაზე გადასვლა, რაც უზრუნველყოფს მრეწველობის მყარ შეკვეთებს, ახალ შესაძლებლობებს სასავს დასავლეთის ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობაში. საქმე მეიღლება ეხებოდეს ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას უცხოთის ფირმებთან და ბანკებთან მთელი რიგი დიდი ეკონომიური საკითხების შემუშავებაში, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, სამრეწველო საწარმოთა მშენებლობას, ახალ ტექნიკურ გადაწყვეტათა ძიებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი თანამშრომლობის განსახორციელებლად შეგვიძლია გამოვნახოთ სხვადასხვაგვარი ფორმები, რომლებიც ყველა მისი მონაწილის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირი მხად არის კვლავაც განამტკიცოს საგაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა საფრანგეთთან, ფინეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იტალიასთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, დანიასთან და სხვა სამრეწველო კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რათა მათთან ჩვენი ვაჭრობის მოცულობა უფრო მეტად შეესაბამებოდეს ჩვენს ეკონომიურ პოტენციალსა და ჩვენი პარტნიორების ეკონომიურ შეაძლებლობებს.

ყოველივე ეს სავსებით ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიური ურთიერთობის პერსპექტივებსაც. ეს ურთიერთობა დღემდე მსოლოდ უმნიშვნელოდ ვითარდებოდა და სრულიადაც არ შეესაბამება ამ ორი ქვეყნის შესაძლებლობებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, მთელი რიგი ხელოვნური შეზღუდვებით საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებისათვის საჭიროა შეერთებულმა შტატებმა ხელი აიღონ ვაჭრობის, დაფინანსების, ნაოსნობის საკითხებში საბჭოთა კავშირის დისკრიმინაციის ცდებზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირმა შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში უნდა ეათვალისწინოს ამერიკის მრეწველობის პროდუქციის რეალური კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. დარწმუნებული ვართ, რომ არსებობს წანამძღვრები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური ურთიერთობის ფართო განვითარებისათვის. ახლა რაიმე პროგნოზების გამოთქმა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ნაადრევია, ვინაიდან კონტაქტები ამ საკითხზე ამერიკის მხარესთან, რომელთაც ჩვენ მივესალმენთ, მხოლოდ საწყის სტადიაშია.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საჭირო რესურსები, რათა გაფართოვდეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. ამასთან საკითხავია, ასეთი ურთიერთობა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო, სავსებით რეალურ ვარიანტს. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ოპტიმალური ვარიანტი. თუ თვით კაპიტალისტური ქვეყნების სარეზერვო და სავაჭრო წრეები ჯეროვნად დაინტერესდებიან ჩვენს ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებით, საბჭოთა კავშირის ვაჭრობა ამ ქვეყნებთან კიდევ უფრო მნიშვნელოვნად განვითარდება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი განახორციელებს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის ყოველნაირად განვითარების თანმიმდევრულ ხაზს. ეს ხაზი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის ორგანული ნაწილია.

• • •

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი გამარჯვებანი მოიპოვა. ჩვენი სამშობლო მტკიცედ ადგას კომუნისტური მშენებლობის გზას ახალი დიდი მიღწევებისაკენ. ჩვენთან ერთად ადგანან ამ გზას მომმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები. ჩვენს მსარეზეა მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიმპათიები და მხარდაჭერა.

ხუთწლიანი გეგმა ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის განსახორციელა. ხუთწლედის დავალებათა შესრულება მნიშვნელოვნად გაადიდებს საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ პოტენციალს, ხელს შეუწყობს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

მიმდინარე ხუთწლედში ახალი ნაბიჯი გადაიდგმება ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებით განსხვავებათა დაძლევის გზაზე. განუხრელად და თანმიმდევრულად განვითარდება სოციალისტური დემოკრატია. გაფართოვდება და განმტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობა, კიდევ უფრო განმტკიცდება სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დიდებული ამოცანები მოითხოვს ხალხის შემოქმედებითი ძალების დარაზმას, სამეურნეო ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლის „არ დავჯერდეთ იმ უნარს, რომელიც ჩვენმა წინანდელმა გამოცდილებამ შეგვძინა, არამედ უსაშიშოდ ვიაროთ წინ, ესაშიშოდ მეჩნის მიღწევას ვეცადოთ, უსათუოდ გადავიდეთ უფრო ადვილი ამოცანებიდან უფრო ძნელ ამოცანებზე. უამისოდ საერთოდ შეუძლებელია რაიმე პროგრესი, შეუძლებელია პროგრესი სოციალისტურ შენებლობაშიც“. (თხზ., ტ. 28, გვ. 223).

ლენინურ პარტიას, საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აუცილებლად იარონ წინ, ყოველთვის, კომუნისტური შენებლობის ყველა უბანზე აუცილებლად მიაღწიონ უფრო მეტს.

ხუთწლედის დავალებათა შესრულებას უზრუნველყოფს ხალხის თავდადებული შრომა. მიღიონობით მშრომელის შემოქმედებითი აქტივობის მკაფიო გამოვლინებაა საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას უკავშირდება ჩვენი ხუთწლედების მთელი ისტორია, იგი გახდა ეკონომიკის აღმავლობის მძლავრი მამოძრავებელი ძალა, შრომისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების კონკრეტული გამოხატულება. ამას მოწმობენ ხუთწლედის დავალებათა შესრულების ვალდებულებანიც, რომლებიც იკისრეს მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა. ეს ვალდებულებანი შემოქმედებითი ინიციატივის, გაბედული ნოვატორების ახალი შესანიშნავი მაგალითია. ბეჯითად და შთაგონებით, კომუნისტური მშენებლობის მაღალი მიზნების მიღწევისათვის პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით შრომობს საბჭოთა ხალხი ლენინური პარტიის XXIV ყრილობის წანასწარდასახულობათა შესასრულებლად.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმა უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და საქმიანობის კანონი გახდება.

პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ლენინური იდეების ერთგულება ჩვენი ძალის წყაროა, ახალ გამარჯვებათა საწინდარია, დღეს ამ მაღალი ტრიბუნიდან მტკიცედ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საბჭოთა ხალხი ყველაფერს იღონებს, რათა წარმატებით შეასრულოს მეცხრე ხუთწლიანი გეგმა — ჩვენი პარტიის დავალება. (მეუხარე, ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ თ. ა. სურგანოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი თევდორე ანისიმეს-ძე **სურგანოვი** — ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1971 წ. 24 ნოემბერი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ ა. პ. ვადერის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი არტურ პავლეს-ძე **ვადერი** — ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1971 წ. 24 ნოემბერი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან დეპუტატ ვ. ს. ტოლსტიკოვის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი ვასილ სერგის-ძე **ტოლსტიკოვი** განთავისუფლებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1971 წ. 24 ნოემბერი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად დეპუტატ გ. ვ. რომანოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი გიორგი ვასილის-ძე **რომანოვი** არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1971 წ. 24 ნოემბერი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ თ. ა. ბურგანოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად დეპუტატ რ. გ. გამზატოვის არჩევის შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი რასულ გამზატის-ძე **გამზატოვი** არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1971 წ. 24 დეკემბერი.**

მოგვილოცავთ!

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. დიმიტრი ერმოლეს-ძე მარგალითაძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 50 წელთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი ასმიკ ბაბაჯანის ასული ასატაროვა დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 50 წელთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი მოსკოვში

23 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი შეხვდა მოსკოვში მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრს მორის სტენსს.

საუბრის დროს განიხილეს ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც ეხება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საეაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის მდგომარეობას, აგრეთვე ამ ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობებსა და მიმართულებებს.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა 23 ნოემბერს სადილი გაუმართა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრს მორის სტენსს.

სადილზე ნ. ს. პატოლიჩევმა და მ. სტენსმა მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

24 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი მორის სტენსი შეხვდა სსრ კავშირის ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის მინისტრს ვ. ს. ფიოდოროვს. გაიმართა აზრთა გაზიარება ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგში სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე.

იმავე დღეს მ. სტენსი ეწვია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკს, სადაც ესაუბრა საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ი. ა. ივანოვს. (საკდესი).

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირთა როლი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში“ — ამ თემას მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 23 ნოემბერს გაიხსნა კავშირების სახლში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ საკავშირო პროფსაბჭოს პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის, სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი პროფკავშირული სკოლების მეცნიერები, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული ცენტრების წარმომადგენლები.

კონფერენცია განიხილავს პროფკავშირული მოძრაობის აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. კონფერენციის მუშაობა ოთხ დღეს გასტანს. (საკდესი).

ИЗВЕСТИЯ

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

კისლოვოდსკი. 24 ნოემბერი (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეორე პარტია ჭადრაკში ა. კუშნირსა და ნ. ალექსანდრიას შორის. თეთრებით თამაშობდა ნ. ალექსანდრია.

ალექსანდრიამ დებიუტიდანვე აქტიური ოპერაცია წამოიწყო ლაზიერის ფლანგზე და უკვე მეთხუთმეტე სვლისათვის შესანიშნავ პოზიციას მიაღწია. თავისი მეთექვსმეტე სვლით მან შავუჭროვანი კუ გაცვალა. გაცილებით უკეთესი იყო მეთექვსმეტე სვლა კდ3, რათა ლაზიერისათვის გაეთავისუფლებინა f4 უჯრა. მოწინააღმდეგეები დიდხანს ფიქრობდნენ ყოველ სვლაზე და უკვე 26-ე სვლისათვის ძლიერ ორმხრივ ციტნოტში აღმოჩნდნენ.

ნ. ალექსანდრია ჯიუტად ახორციელებდა თავის გეგმას — მეფეზე შეტევას, სჯობდა კი დროზე ეთქვა უარი ამ გეგმაზე, რადგან ა. კუშნირის კონტრთამაში ცენტრში გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. 28-ე სვლა ე64-ის ნაცვლად უკეთესი იყო მe2. ძლიერ ციტნოტში ნ. ალექსანდრიამ არასწორად შესწორა მეტოქეს მხედარი და 42-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო. ანგარიშია 1:0 ა. კუშნირის სასარგებლოდ.

25 ნოემბერს მოეწყობა გადადებული პარტიის დამთავრება.

ე. უგილავა,
ოსტატი.

რამდენიმე სტრიქონით

● **ᲓᲦᲔᲡ** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები იწყებენ ასპარეზობას. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ოკადამეცხრამეტე ჩემპიონატის სტარტი. ამ შეჯიბრებაში სხვებთან ერთად გამოდიან თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. პირველ მატჩში საქართველოს გუნდებს ერთმანეთთან მოუწევთ შეხვედრა. 8 დეკემბერს თბილისის „ბურევესტნიკს“ საკუთარ მოედანზე მატჩი ექნება მოსკოვის „დინამოსთან“, ხოლო ორი დღის შემდეგ თბილისში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

● **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ** მოშაშე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა ათი ტური. წინ კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი, რიგელი გროსმაისტერი ა. ანდრეიკოა, რომელსაც 7,5 ქულა აქვს ცხრიდან.

● **ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ** „ზარიას“ ფეხბურთელთა კოლექტივი გაგრძელებს ტურნეს საზღვარგარეთ. მორიგი მატჩი „ზარიას“ ჰქონდა ნეპალის ახალგაზრდულ ნაკრებთან და გაიმარჯვა 6:1 (1:0).

ა. ალიოხინის მემორიალი

პირველი შედ